



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სადოქტორო პროგრამა კომპიუტერულ მეცნიერებაში
საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2019 წლის 17 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2019 წლის 3 დეკემბერი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	205037137
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კომპიუტერული მეცნიერების დოქტორი 0613
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დონალდ სანელა, ედინბურგის უნივერსიტეტი, შოტლანდია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მიხეილ რუხაია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი,	ზურაბ ბოსიკაშვილი,

უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მერაბ კუტალია, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ადრე აკრედიტირებული სადოქტორო პროგრამა საქართველოს უნივერსიტეტის ტექნოლოგიის მეცნიერებათა სკოლაში, რომელიც მოიცავდა მათემატიკას, ფიზიკასა და კომპიუტერულ მეცნიერებას, იყოფა ცალკეულ სპეციალიზირებულ პროგრამებად ამ სამ დისციპლინაში. განსახილველად შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამა კი, არის კომპიუტერული მეცნიერების პროგრამა, რომელსაც ამჟამად ჰყავს 7 სტუდენტი და 2 კურსდამთავრებული.

კომპიუტერული მეცნიერების სპეციალიზირებული სადოქტორო პროგრამა 180 ECTS-ანი პროგრამაა, რომელიც ისწავლება ქართულად და შედგება სავალდებულო კურსების - 40, არჩევითი კურსების - 20 და კვლევითი პროექტის 120 კრედიტისგან. არსებული სადოქტორო პროგრამის მათემატიკის, ფიზიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების შემცირების ხარჯზე დაემატა კვლევითი პროექტის მენეჯმენტის საგანი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტამდე, ექსპერტთა პანელის ყველა წევრს გადაეცა 22-გვერდიანი თვითშეფასების ანგარიში, შემოთავაზებული სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაციასა და პროგრამის ცხრა კურსის სასწავლო გეგმის შესახებ დოკუმენტები. თვითშეფასების ანგარიშს ზოგიერთი სტატისტიკური ინფორმაცია აკლდა ან არასწორი იყო. შემდეგი დამატებითი ინფორმაცია გადმოგვეცა ქართულ ენაზე: პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის ინფორმაცია პერსონალის განვითარებისა და სამუშაო აღწერილობის შესახებ; ბიუჯეტი; მემორანდუმი სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შესახებ; კომპიუტერული მეცნიერების ახლად კურსდამთავრებული დოქტორანტების სია; სადოქტორო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტაცია, კითხვარების ნიმუშების ჩათვლით; საქართველოს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სადოქტორო პროგრამის დამტკიცების შესახებ; და ინფორმაცია პერსონალის დაგეგმვის, შეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ. მოწოდებული ინფორმაცია აკრედიტაციის სტანდარტების ზოგიერთ ნაწილს არ ეხებოდა სათანადოდ.

ექსპერტთა ჯგუფი ეწვია საქართველოს უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სკოლას 2019 წლის 17 ოქტომბერს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრებთან ერთად ექსპერტები გაესაუბრნენ ხარისხის უზრუნველყოფის ოფისის წარმომადგენლებს, თვითშეფასების ანგარიშზე პასუხისმგებელ გუნდს, პროგრამის

დირექტორთან ერთად, აკადემიური და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულს(ტელეფონით), ასევე დაათვალიერეს უნივერსიტეტის ობიექტები.

მოთხოვნის შესაბამისად, ადგილზე ვიზიტის ბოლოს, პროგრამის დირექტორმა მოგვაწოდა შესწორებები თვითშეფასების ანგარიშის დასაწყისში აღნიშნულ ზოგიერთ სტატისტიკურ ინფორმაციაზე, ასევე კვლევითი პროექტების შესახებ ინფორმაციაზე. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა მათემატიკის, ფიზიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის 2014 წლის სააკრედიტაციო ანგარიშის ასლი, რომელიც ექსპერტთა ვიზიტის დასრულების შემდეგ, გადაეცათ ხარისხის ცენტრისგან.

ექსპერტთა ჯგუფი მაღლობას უხდის ყველას თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობისათვის ადგილზე ვიზიტისას.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა შეესაბამება ყველა სტანდარტს, გარდა 2.1, 2.3, 3.2, 4.1 კომპონენტებისა, რომლებსაც იგი მეტწილად შეესაბამება.

▪ **რეკომენდაციების რეზიუმე**

1. უნდა შერბილდეს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მაგისტრის ხარისხის დაშვების მიზნით მჭიდროდ დაკავშირებულ სფეროებში.
2. კურსის აღწერილობები უნდა მოიცავდეს იმ ცოდნის დოკუმენტაციას, რომელიც სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ კურსის აღებამდე.
3. უნდა შემუშავდეს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს და ხელმძღვანელობის პროცესს.
4. ჩართეთ პროგრამაში დარგთან დაკავშირებული აქტიური მკვლევარები.

▪ **რჩევების რეზიუმე**

1. გაითვალისწინეთ პრაქტიკული ამოცანების მეცადინეობების განაწილების ჩასმა, წარმოდგენილი მეთოდებით „აღგორითმების თეორიის“ კურსში.
2. გაითვალისწინეთ საერთაშორისო რეცენზენტის ჩართვა სადოქტორო დისერტაციისთვის.
3. ადგილობრივ და საერთაშორისო დამფინანსებელ ორგანიზაციებთან აკადემიური პერსონალის, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევის შესახებ, შეთავაზებების წარდგენის წახალისება.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზანია სამეცნიერო კვლევების წარმოება და კომპიუტერული მეცნიერების სფეროში ახალი ცოდნის შექმნა, სამეცნიერო კვლევითი უნარების, ანალიტიკური აზროვნების, პრობლემების გადაჭრის უნარის გამომუშავება სამეცნიერო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მართვის მიზნით. კურსდამთავრებულებს ექნებათ შესაძლებლობა იმუშაონ საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში აკადემიურ / სამეცნიერო თანამდებობებზე, ან კერძო და საჯარო სექტორში, ანალიტიკურ, IT მენეჯმენტისა და კომპანიის განვითარების საქმიანობის ჯგუფებში.

პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები შედის მის აღწერილობაში და ადვილად ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამის მიზნები შეესაბამება GTU-ს მისიას. ისინი ასახავენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებს და შეესაბამებიან კვალიფიკაციის ჩარჩოში დოქტორის ხარისხის კვალიფიკაციის აღწერილობას.

პროგრამა გთავაზობთ მაღალხარისხიან განათლებას კომპიუტერული მეცნიერების სფეროში და ამზადებს კურსდამთავრებულებს, რომელთაც შეუძლიათ დასაქმდნენ, როგორც მკვლევარები ან კომპიუტერული მეცნიერების ლექტორები. კურსდამთავრებულთა შორის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკითხვებიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი სტუდენტებისთვის კომფორტულია. საჭიროა, რომ კურსდამთავრებულები ფლობდნენ ისეთ უნარ-ჩვევებს, რომელთა განვითარებასაც პროგრამა ისახავს მიზნად, მაგალითად, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სკოლაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

<ul style="list-style-type: none"> • გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელთან • პროგრამის აღწერა • საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები • ინტერვიუ კურსდამთავრებულთან • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
<ul style="list-style-type: none"> • პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; • შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამის აღწერა მოიცავს 21 სწავლის შედეგის ჩამონათვალს, რომელიც კლასიფიცირდება ცოდნისა და გააზრების (5 სწავლის შედეგი), უნარების (13 სწავლის შედეგი) და პასუხისმგებლობისა და ავტონომიის (3 სწავლის შედეგი) სფეროებად. პროგრამაში, სწავლის შედეგების მისაღწევად, არის მეთოდებისა და აქტივობების ჩამონათვალი, განმარტებულია მრჩველთა საბჭოს მუშაობა, რომელიც მართავს თითოეული დოქტორანტის აქტივობებს, უზრუნველყოფს მათ შეფასების შესახებ ინფორმაციით და პროგრამის სავალდებულო და არჩევით კურსების ჩამონათვალს.</p>

მიუხედავად იმისა, რომ 21 სწავლის შედეგებისთვის დიდი რაოდენობაა, რაც შესაძლებელია გულისხმობდეს კომბინაციისა და კონსოლიდაციისთვის არეალის არსებობას. სწავლის შედეგები მკაფიო და ცალსახაა, იგი შეესაბამება პროგრამის მიზნების მიღწევას. სწავლის შედეგები გაზომვადია, მიღწევადი და რეალისტური და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჩარჩოში დოქტორის კვალიფიკაციის დესკრიპტორს. ისინი შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალის წევრის მოთხოვნას, რაც წარმოადგენს პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების პირველად სფეროს.

პროგრამის სწავლის შედეგები პერიოდულად ფასდება სასწავლო მოდულის გავლის ეტაპზე. შუალედური და დასკვნითი გამოცდები გამოიყენება სწავლის შედეგების გასაზომად, ხოლო მათ შედეგებს ანალიზებს მრჩეველთა საბჭო. სასწავლო მოდულები ითვალისწინებს ზეპირ და წერილობით გამოცდებს და პრეზენტაციებს, რაც გულისხმობს წინასწარ განსაზღვრული თემის, ელექტრონული ფორმით, წარდგენას დოქტორანტის მიერ.

სწავლისა და კვლევის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, მრჩეველთა საბჭო გასცემს სპეციფიკურ რეკომენდაციებს დოქტორანტის შემდგომი განვითარებისათვის. რეკომენდაციები შეიცავს რჩევას, მისი შედეგების მოსამზადებლად ადგილობრივ ან საერთაშორისო კონფერენციაზე, ან სამეცნიერო ჟურნალში. ასევე, მიღებული გამოცდილების თანახმად, მრჩეველთა საბჭო განიხილავს პროგრამის შემდგომ გაუმჯობესებასა და განვითარებას.

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ შეფასებისა და ხელმძღვანელობის ეს ზომები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სადოქტორო დონეზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან
- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერა
- საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს მიზნებისა და დასახული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის მახასიათებლებს და უზრუნველყოფს სტუდენტების მიღებას პროგრამაზე შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით; სტუდენტები, რომლებიც ფლობენ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებულ ხარისხს ინფორმაციულ ტექნოლოგიაში / კომპიუტერულ მეცნიერებაში / ინფორმატიკაში,

შეიძლება დაიშვან სადოქტორო პროგრამაზე. გარდა ამისა, მათ მოეთხოვებათ შესაბამისი საკვლევი თემის შესახებ კონცეფციის წარდგენა გამოცხადებულ სადოქტორო პროგრამაზე. გადაწყვეტილების მიმღები პირები ითვალისწინებენ კანდიდატის მიერ წერილობითი და ზეპირი ფორმით წარმოდგენილი კონცეფციის შესაბამისობას კანდიდატის კვლევის უნარებთან, აგრეთვე მეცნიერებისა და ტექნიკის სკოლის საგანთან და რესურსებთან. პროგრამაზე მიღება ხდება გამოცხადებული კვლევის თემების საფუძველზე, რომლებსაც წინასწარ ამტკიცებს სკოლის აკადემიური საბჭო. გამოცხადებული თემები შეესაბამება სკოლის სამეცნიერო ინტერესებს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები საჯაროა და ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. პროგრამის მიღების პირობები და კვლევის თემები საჯაროდ ქვეყნდება უნივერსიტეტის და სკოლის ვებ-გვერდებზე. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დეტალური ინფორმაციის მისაღებად პირადად მიმართონ პროგრამის ხელმძღვანელს.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, რომ განმცხადებლები უნდა ფლობდნენ მაგისტრის ან მის ექვივალენტურ აკადემიურ ხარისხს ინფორმაციულ ტექნოლოგიებში / კომპიუტერულ მეცნიერებებში/ ინფორმაციულ მეცნიერებაში, არის ძალიან მკაცრი მოთხოვნა, რადგან ზოგიერთ უნივერსიტეტებში მაგისტრატურას სხვა დისციპლინებში ამთავრებენ კარგი მათემატიკური და კომპიუტერული ცოდნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერა
- დებულებები სადოქტორო და სამაგისტრო კვლევების შესახებ
- ვებ-გვერდი www.ug.edu.ge
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

შეარბილეთ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მაგისტრის ხარისხის დაშვების მიზნით მჭიდროდ დაკავშირებულ სფეროებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის შესაბამისად. იგი შედგენილია უნივერსიტეტის რეგლამენტის გათვალისწინებით, აკადემიური პერსონალის, პოტენციური დამსაქმებლების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტუდენტების მონაწილეობით.</p> <p>პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების დოქტორანტურის დონეს.</p> <p>პროგრამა შეიცავს 60 ECTS სწავლების და 120 ECTS კვლევის კომპონენტს, ჯამში 180 ECTS-ს.</p> <p>სტუდენტი სწავლების მეთოდებისა და პრაქტიკის, აკადემიური წერის, ალგორითმების, კვლევითი პროექტის მენეჯმენტის საკითხების შესახებ იძენს სიღრმისეულ ცოდნას და პროგრამის სავალდებულო კურსების საშუალებით მუშაობს კვლევით თემაზე.</p> <p>სტუდენტებს მოეთხოვებათ 20 ECTS-ის მოცულობის არჩევითი კურსების დასრულება, რაც შესაძლებელია სპეციალობის საგნებისა და მასთან დაკავშირებული სპეციალობების გავლით.</p> <p>პროგრამით განსაზღვრული სწავლის მეთოდები და კომპონენტები, ხელს უწყობს და</p>

უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნების შესრულებას და სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევების ჩატარებას, კრიტიკულ ანალიზს, საკუთარი და სხვისი ნაშრომის კრიტიკულ შეფასებას, სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებას და დოქტორანტის მიერ ჩატარებულ პრეზენტაციებს.

კვლევის კომპონენტის შესრულებისას, სტუდენტი ვალდებულია:

- წარმოადგინოს ორი სამეცნიერო პუბლიკაცია დაცვისათვის;
- მოამზადოს პრეზენტაცია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე. ზემოხსენებული მოთხოვნა არის შეფასების გარე და შედეგების აღიარების ინსტრუმენტი.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

პროგრამა თანამედროვეა და გაძლიერებულია კურსებით, როგორებიცაა "უმაღლესი განათლების სწავლების შეფასების თანამედროვე სტრატეგიები" და "კვლევითი პროექტების მენეჯმენტი".

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები ჩართულნი არიან პროგრამის შემუშავებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერა
- ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ინსტრუქცია
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა სწავლის შედეგები თითოეული სავალდებულო კურსისათვის შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

თითოეული კურსის შინაარსი შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს.

თითოეული კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამისი დონის აღმწერს, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოში.

თითოეული კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის ლოგიკურია სადოქტორო ხარისხის კვალიფიკაციისთვის.

კურსის შინაარსი და კონკრეტული საგნების კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ საგანით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სავალდებულო ლიტერატურა და სილაბუსში ჩამოთვლილი სხვა სასწავლო მასალა თანამედროვეა.

სასწავლო გეგმაში მითითებული სასწავლო მასალა ემყარება სწავლების მეთოდოლოგიას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ფასდება თითოეული კურსის ყველა სწავლის შედეგი.

ექსპერტებს აქვთ გარკვეული კომენტარები საგანმანათლებლო კურსებთან დაკავშირებით:

- შემდეგ კურსებზე დაშვების წინაპირობები არ არის ჩამოთვლილი, იმის მიუხედავად, რომ საგნის შინაარსის გასაგებად საჭიროა წინასწარი ცოდნა: ალგორითმების თეორია, მანქანათმცოდნეობის ალგორითმები სისტემური ანალიზისთვის, დიდი მონაცემთა (big data) სისტემებზე დაფუძნებული მანქანათმცოდნეობა, მათემატიკური მოდელირება, რთული სისტემების სტრუქტურული ანალიზი.
- კურსის "დიდი მონაცემთა(big data) სისტემებზე დაფუძნებული მანქანათმცოდნეობა" რეალიზაციისთვის, საჭიროა დიდი კომპიუტერული რესურსები, რომელსაც უნივერსიტეტი არ ფლობს. ამასთან, ინტერვიუს დროს მენეჯმენტი დაგვირდა, რომ ამ კურსისათვის გამონახავს კომპიუტერულ რესურსებს უნივერსიტეტს გარეთ.

კურსი "ალგორითმების თეორია" განიხილავს, როგორც თეორიულ საკითხებს, ასევე ალგორითმების პრაქტიკულ განხორციელებას. პრაქტიკული ამოცანების მეცადინეობების განაწილების შედეგად მნიშვნელოვნად გააძლიერებს კურსს, წარმოდგენილ აბსტრაქტულ მეთოდებთან მიმართებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერა
- საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები
- სწავლის შედეგების რუკა
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

კურსის აღწერილობები უნდა მოიცავდეს იმ ცოდნის დოკუმენტაციას, რომელიც სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ კურსის დაწყებამდე.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

გაითვალისწინეთ პრაქტიკული ამოცანების მეცადინეობების განაწილება, წარმოდგენილი მეთოდებით „ალგორითმების თეორიის“ კურსში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების

განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარები და/ან იყვნენ ჩართულნი სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, რომლებიც შესაბამისობაშია განათლების დონესთან და პროგრამის სწავლის შედეგებთან.</p> <p>უნივერსიტეტს აქვს ბლოკჩეინის ლაბორატორია, CISCO აკადემია, Oracle აკადემია, Microsoft IT აკადემია, Mikrotik აკადემია, სასწავლო ცენტრი UG Lemondo Training, ინტერნეტ სწავლებისა და კვლევების ცენტრი. უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში / პროექტებში, რომელთაც აქვთ კვლევითი ცენტრები, მაგალითად, JINR, J-Park (COMET თანამშრომლობა), CERN. ყველა ეს ცენტრი და ლაბორატორია საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს უფრო პრაქტიკული ცოდნა და უნარები.</p> <p>პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. ტრანსფერული უნარჩვევების სწავლება უზრუნველყოფილია შემდეგი აუცილებელი კურსებით: უმაღლეს განათლებაში სწავლების შეფასების თანამედროვე სტრატეგიები, კვლევითი პროექტების მართვა, ტექსტის დამოწმება და თარგმნა.</p> <p>პრაქტიკული კომპონენტისა და/ან სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში, თითოეულ სტუდენტს ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> ● პროგრამის აღწერა ● მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში ● თვითშეფასების ანგარიში ● გასაუბრება სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება
X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. პროგრამის სწავლების მეთოდები ძირითადად ემყარება დოქტორანტის დამოუკიდებელ მუშაობას, საკვლევ თემაში მონაწილეობით სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად. სწავლის ფორმატი ითვალისწინებს პერიოდულ შეხვედრებს შესაბამისი კურსის ლექტორებთან.

სწავლების-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას. როგორც სასწავლო კომპონენტის, ისე კვლევის კომპონენტის შესრულებისას, სტუდენტი შეჩვეულია, რომ თავიდანვე წარადგინოს საკუთარი კვლევა და მიღებული შედეგები სამეცნიერო განხილვის სახით.

კურსის განმავლობაში უზრუნველყოფილია ლექციები და საკონსულტაციო შეხვედრები. ლექციების დროს, სტუდენტს გადაეცემა სასწავლო გეგმის ძირითადი თემების და დამოუკიდებელი დამუშავებისთვის განკუთვნილი ლიტერატურის შესახებ ინფორმაცია.

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდები მოქნილია და ითვალისწინებს სტუდენტთა წინარე გამოცდილებას და საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, იქმნება ინდივიდუალური პროგრამა, რომელიც გამოიყენება სტუდენტის ინტერესისა და აკადემიური მზადყოფნის შესაბამისად.

თუ პროგრამაში ჩართულია უცხოელი სტუდენტი, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი სწავლება-სწავლის ორგანიზებისას და შეფასების მეთოდებში ითვალისწინებს მათ კულტურულ და/ან სხვა საჭიროებებს.

უნივერსიტეტს აქვს მკაფიო პოლიტიკა სტუდენტების შეფასებასთან დაკავშირებით, როგორც ეს მოცემულია საგანმანათლებლო პროცესის დებულებაში: "უნივერსიტეტი

ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის ცოდნის, სამართლიანი და მიუკერძოებელი შეფასება, რისთვისაც ის ადგენს შესაბამის პროცედურებს. ექსპერტთა ჯგუფი კმაყოფილია, რომ ეს პოლიტიკა სრულადაა განხორციელებული.

შეფასების ზოგადი კრიტერიუმები, რომლებიც მოცემულია პროგრამის აღწერის დოკუმენტში, მორგებულია თითოეულ კურსზე და განმარტებულია ამომწურავად და დეტალურად შესაბამისი სილაბუსში. შეფასების თითოეული ელემენტისათვის, მიღწევის სხვადასხვა დონის შესაბამისი კრიტერიუმები ჩამოთვლილია მკაფიოდ. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებაა, რომ ეს იმდენად გამჭვირვალეა, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ფაკულტეტისა და პერსონალის შესაქებად უნდა ითქვას, რომ მათ შეფასების სისტემა ძალიან გამჭვირვალე გზით წარმოადგინეს.

გასაუბრებების დროს დადგინდა, რომ ეს კრიტერიუმები გამჭვირვალეა სტუდენტებისათვის და მათთვის მიწოდებული და ახსნილია თითოეული კურსის დაწყების პირველივე სასწავლო კვირას.

პედაგოგები უზრუნველყოფენ თითოეული დავალების უკუკავშირს სტუდენტისათვის. დოქტორანტების თქმით, პედაგოგები ადვილად ხელმისაწვდომები არიან განხილვისა და კითხვებისათვის, რომლებიც შესაძლოა გაუჩნდეთ მათ ქულებთან დაკავშირებით და უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი განმარტებებით. პედაგოგების თანახმად, გამოკითხული სტუდენტები უმეტესწილად კმაყოფილნი არიან მათგან მიღებული უკუკავშირით, ამ ხედვას დოქტორანტებიც იზიარებენ.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის საჩივარი არ გადაიჭრება კურსის ლექტორთან არაფორმალური კონტაქტის შემდეგ, მას შეუძლია მიმართოს საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციებში აღწერილ ფორმალურ პროცედურას: განიხილეთ საგამოცდო ნამუშევარი ლექტორთან ერთად, მიიღეთ უკუკავშირი და გააპროტესტეთ გამოცდის შედეგები მას შემდეგ, რაც ისინი წარედგინება სტუდენტთა საინფორმაციო ცენტრს. სტუდენტებმა კარგად იციან ამ კუთხით საკუთარი უფლებები, თუმცა ასეთი შემთხვევის შესახებ არ სტუდენტთა მიერ ინტერვიუებზე არაფერი თქმულა.

პერსონალის ფიქსირებული საკონსულტაციო საათები ხელმისაწვდომია ყველა პედაგოგისთვის. სტუდენტები, ასევე მონაწილეობას იღებენ გამოკითხვებში, სადაც მათ შეუძლიათ საკუთარი შეხედულების დაფიქსირება შეფასების კრიტერიუმებისა და მეთოდების შესახებ. ინფორმაცია გადაეცემა პედაგოგებს და პროგრამის ხელმძღვანელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის აღწერა
- საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები
- სწავლების მეთოდების სახელმძღვანელო
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება სტუდენტებთან

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტებს აფასებენ კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. შეფასება გამჭვირვალეა და აღწერილია თითოეულ კონკრეტულ სასწავლო გეგმაში.</p> <p>შეფასების შედეგები ანალიზდება და მიღებული შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.</p> <p>შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები სამართლიანია, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის;</p> <p>შეფასებას აქვს ორმაგი ფუნქცია; ერთის მხრივ, იგი გამოიყენება სტუდენტური მიღწევების გასაზომად, ხოლო მეორეს მხრივ, იგი გამოიყენება, როგორც მიღწეული შედეგების გაუმჯობესების საშუალება.</p> <p>ამ მიზნით, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების სწავლის შედეგების გაუმჯობესების მექანიზმს, პროფესორების უკუკავშირით დოქტორანტების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. თემის ხელმძღვანელი პერიოდულად აფასებს სტუდენტის პროგრესს. ეს ნიშნავს შედეგების და ინსტრუქციების ინდივიდუალურ მიმოხილვას, მომავალში არსებული ხარვეზების გაუმჯობესების მიზნით.</p> <p>შეფასების კრიტერიუმები სტუდენტთა მიღწევების მონიტორინგია. ბარიერის გადალახვა მიუთითებს სწავლის შედეგების მიღწევას.</p> <p>კვლევის კომპონენტის შეფასება ხორციელდება სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს.</p>

შესაძლებლობის შემთხვევაში, საერთაშორისო შემფასებელი უნდა იყოს ჩართული სადოქტორო დისერტაციის შეფასებაში, მაღალი სტანდარტების შენარჩუნების მიზნით.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხორციელდება უსდ-ს დისერტაციის შეფასების და დაცვის პროცედურების თანახმად, სადისერტაციო დაცვის კომისიის მონაწილეობით. ეს საჯარო ღონისძიებაა.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები:**
- პროგრამის აღწერა
 - საგანმანათლებლო კურსების სილაბუსები
 - დებულებები სადოქტორო და სამაგისტრო კვლევების შესახებ
 - ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან
 - თვითშეფასების ანგარიში
 - გასაუბრება სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
 გაითვალისწინეთ საერთაშორისო რეცენზენტის ჩართვა სადოქტორო დისერტაციისთვის.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის		X		

ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
--	--	--	--	--

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თითოეული სტუდენტი კონსულტაციისთვის პერიოდულად ხვდება იმ კურსების ლექტორებს, რომლებზეც იგი სწავლობს. მრჩეველთა საბჭო იკრიბება სემესტრში ერთხელ, რათა შეაფასოს და დაგეგმოს თითოეული დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი საქმიანობა. ამ შეხვედრებზე დოქტორანტი იღებს რჩევებს მისი შემდგომი განვითარების შესახებ. სკოლა, IT და ფინანსურ განყოფილებებთან ერთად, სტუდენტებს დახმარებას უწევს ადმინისტრაციულ, ფინანსურ და ტექნიკურ საკითხებში.

სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ინფორმაცია პროექტებისა და ღონისძიებების შესახებ სკოლების ონლაინ სისტემის გამოყენებით.

განყოფილება უზრუნველყოფს სტუდენტების დაფინანსებას კონფერენციებზე დასასწრებად და კვლევის სხვა ხარჯებისთვის. ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან თავიანთი სტუდენტების კონფერენციაზე დასწრების მონიტორინგზე. დაფინანსება სწავლის საფასურის ნახევარია, ანუ ამ ეტაპზე წელიწადში 1500 ლარი. დაფინანსება მოიცავს მოგზაურობისა და საცხოვრებელ ხარჯებს. გარდაამისა, იგი შეიძლება გამოიყენონ კვლევითი მიზნებისთვის, ახალი წიგნების და სხვა აუცილებელი ნივთების შესაძენად. მათ აგრეთვე აქვთ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამუშაო დატვირთვა მოიცავს სტუდენტების საკონსულტაციო საათებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

3.2.მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტები ირჩევენ თემას ჩამონათვალიდან, რომელიც წინასწარ გამოცხადებულია სკოლის მიერ. გამოცხადებული თემები, ამჟამად, ყველაზე საინტერესოა სკოლისა და აკადემიური პერსონალისთვის. აკადემიური პერსონალი პასუხისმგებელია დოქტორანტების თემებზე და ხელმძღვანელობენ სტუდენტებს კვლევის ჩატარებისას. თუ თემა რთულია და მოითხოვს გამოცდილების გაზიარებას სხვა დარგისგან, სკოლა საშუალებას აძლევს სტუდენტებს ჰყავდეთ თანა-ხელმძღვანელი.</p> <p>თითოეული ხელმძღვანელი მუდმივ კომუნიკაციაშია სტუდენტებთან. დოქტორანტების თხოვნით, მათ შეუძლიათ დაგეგმონ კონსულტაცია კვლევის თემასთან დაკავშირებით. კვლევის პროცესს ხელმძღვანელობს ხელმძღვანელი; როგორც მრჩეველი, იგი სწორ მიმართულებას აძლევს და ეხმარება რეცენზირებად კვლევით ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნებაში.</p> <p>გასული სადოქტორო დისერტაციების განხილვის შემდეგ, შინაარსი იყო ნათელი, გასაგები და შეესაბამებოდა ტექნიკურ მოთხოვნებს.</p>

სტუდენტებს შეუძლიათ შეხვდნენ თავიანთ ხელმძღვანელს, ისე ხშირად, რამდენჯერაც ამას საჭიროებენ. კომუნიკაცია უმეტესად პირისპირ ხორციელდება, თუმცა შეხვედრები შეიძლება დისტანციურად ჩატარდეს. თითოეული თემა ხელმძღვანელის კვლევის ინტერესის სფეროა და ისინი ჩართულნი არიან კვლევაში.

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა მტკიცებულება იმის შესახებ, რომ უსდ-ს გააჩნია დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელის უფლებებსა და მოვალეობებს და ხელმძღვანელობის პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთან
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

უნდა შემუშავდეს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობებს და ხელმძღვანელობის პროცესს.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
-----------	------------------------------	---------------------------------------	---	---------------------------

სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
---	---	--	--	--

4.სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში ჩართულია 5 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი. აქედან 6 მათგანი სფეროსთან დაკავშირებულია(ინფორმატიკა, მათემატიკა და ფიზიკა).მათგან მხოლოდ 3 არის აქტიური მკვლევარი (ბოლოდროინდელი პუბლიკაციებით) და ამ 3-დან მხოლოდ 2 არის დაკავშირებული სფეროსთან. სხვა პროფესორების გამოქვეყნებებთან დაკავშირებით 2016 წლიდან, არ არის მოწოდებული ინფორმაცია. საერთო ჯამში მათ აქვთ 2 მიმდინარე პროექტი და მხოლოდ ერთი კვლევითი პროექტი (მეორე კი არის Erasmus + გაცვლითი პროექტი). ეს ფაქტები უცნაურია, რადგანაც პროფესორთა კონტრაქტები შეიცავს კვლევის ვალდებულებებს, ხოლო მათი ხელფასის ნაწილი გაიცემა კვლევის ვალდებულების განხორციელებისთვის. ამ კონტრაქტების თანახმად, პერსონალს უნდა ჰქონდეს კვირაში არანაკლებ 10 საათი სწავლებისთვის, დანარჩენი კი უნდა დაეთმოს კვლევას.

თუმცა, მიუხედავად ამისა, პროგრამის კოორდინატორებს აქვთ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება პროგრამის შემუშავებისთვის.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო ადმინისტრაციული დახმარებით სკოლის პერსონალის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- დოკუმენტაცია პერსონალის შესახებ
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები ადმინისტრაციასთან და აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

ჩართეთ პროგრამაში დარგთან-დაკავშირებული აქტიური მკვლევარები.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

წახალისეთ აკადემიური პერსონალი ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების შესახებ შეთავაზებების წარსადგენად, ადგილობრივ და საერთაშორისო დამფინანსებელ ორგანიზაციებში.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აგროვებს უკუკავშირს სტუდენტებისგან, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ, სემესტრულად; ამის საფუძველზე, ფასდება მათ მიერ მიწოდებული სწავლების ხარისხი. ყოველწლიურად, აკადემიური პერსონალის თითოეული წევრი წარადგენს თვითშეფასების ანგარიშს საკუთარი სამეცნიერო მუშაობის შესახებ. უკუკავშირის შედეგების ანალიზის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სთავაზობენ ტრენინგს.</p> <p>უნივერსიტეტი აფინანსებს დოქტორანტებს კონფერენციებსა და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. დოქტორანტებს შეუძლიათ მოითხოვონ სწავლის საფასურის ნახევარზე მეტი ამ მიზეზით. ადმინისტრაცია ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის მონაწილეობას სხვადასხვა აკადემიურ გაცვლით პროგრამებში. ასევე არსებობს ხელფასზე დანამატი, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში ან კონფერენციებზე პუბლიკაციებისთვის.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ინტერვიუები ადმინისტრაციის, ხარისხის უზრუნველყოფისა და აკადემიურ პერსონალთან ● თვითშეფასების ანგარიში
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.3.მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა საჭირო ინფრასტრუქტურასა და ტექნიკურ აღჭურვილობას კვლევისთვის (კომპიუტერული ლაბორატორია).პროგრამას არ აქვს რაიმე განსაკუთრებული მოთხოვნა- არ არის საჭირო სპეციალური აღჭურვილობა ან პროგრამული უზრუნველყოფა - მაგრამ ადმინისტრაცია მზად არის, საჭიროების შემთხვევაში, მომავალში განიხილოს და შეიძინოს აღჭურვილობა ან პროგრამა. ბიბლიოთეკაში მოცემულია სასწავლო გეგმაში მითითებული ყველა ძირითადი ლიტერატურა. სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს აქვთ წვდომა JSTOR-ზე, ScienceDirect და Scopus მონაცემთა ბაზებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:
<ul style="list-style-type: none"> დაწესებულების შენობების ტური - ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახებში, ოფისები და ა.შ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტის შემოსავალი მოიცავს მხოლოდ სწავლის საფასურს, ხოლო სტუდენტების სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებას, როგორც ხარჯებს. როგორც ადმინისტრაციამ განმარტა, სასწავლო პროგრამების ყველა საერთო ხარჯის დასაფარად არსებობს სკოლის ბიუჯეტი (თითოეული მათგანისთვის ცალკე არ გამოითვლება). ადმინისტრაციამ განმარტა, რომ მათ წელიწადში დაახლოებით 10 სტუდენტი დასჭირდებათ, რომ პროგრამა ეკონომიკურად დამოუკიდებელი იყოს. ამჟამად, მათ მხოლოდ 5 დოქტორანტი ჰყავთ და მათგან მხოლოდ 2 არის აქტიური სტუდენტი (3 სტუდენტს შეჩერებული აქვს სტატუსი, რადგან მათ მეტი დრო სჭირდებათ კვლევის ჩასატარებლად და დისერტაციის დასრულებისთვის), ასე რომ, ამ სადოქტორო პროგრამის სუბსიდირება ხდება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებით.

პროგრამის სავალდებულო კურსია "კვლევითი პროექტების მართვა", რომელიც მოიცავს საპროექტო წინადადებების წერას. ამ კურსის დასრულების შემდეგ, სტუდენტებს ექნებათ საკმარისი ცოდნა მაღალი ხარისხის საპროექტო წინადადებების, სადოქტორო გრანტის წარსადგენად SRNSFG– სთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი
- ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და დოქტორანტებთან
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):

(აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5.სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს უნივერსიტეტში მოქმედებს მისი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასების მექანიზმი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება თანმიმდევრული და რეგულარული შეფასება. შეფასების მიზანია სწავლის შედეგების წარმატების უზრუნველყოფა, პროგრამების წარმატება, ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება და კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა დასაქმების ბაზარზე.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ხორციელდება პროგრამის პერსონალთან

თანამშრომლობით, ხოლო ისინი შეფასების შედეგებს იყენებენ პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები მოიცავს სტუდენტთა მიღწევების გაზომვას, ინდივიდუალური კურსებისა და მთლიანი პროგრამის დონის შესაბამისად. აგრეთვე, სტუდენტთა რეგულარულ უკუკავშირს, თვისებრივი და რაოდენობრივი ტექნიკის გამოყენებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრები აღნიშნავენ, რომ სტუდენტთა 100% -იანი გამომხატულება გამოკითხვებზე, სტუდენტების მცირე რაოდენობის გამო. გამოკითხულმა სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათ სთხოვენ და ისინი, თავის მხრივ, გამოხატავენ უკუკავშირს.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, ასევე შეიცავენ სასწავლო კურსების მენტორების მიერ სტუდენტისთვის სწავლის პროცესში გამოვლენილი გამოწვევების შესახებ ანგარიშებს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სწავლების მეთოდების, კურსის სირთულის, სამუშაო დატვირთვის და მასალის გააზრების შესახებ.

სადოქტორო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში მომზადდა ჯგუფის მიერ, რომელშიც შედის პროგრამაში ჩართული ყველა აკადემიური პერსონალი, სკოლის დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებთან და სტუდენტებთან
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

5.2 გარე ხარისხი
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მათემატიკის, ფიზიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის 2014 წლის აკრედიტაციის ერთი რეკომენდაცია იყო, რომ ის დაყოფილიყო ცალკეულ პროგრამებად სამ დისციპლინაში. ახალი სადოქტორო პროგრამა ამ რეკომენდაციის შესრულების შედეგია.</p> <p>წინა აკრედიტაციის ანგარიშის კიდევ ერთი რეკომენდაცია იყო, რომ დაზუსტებულიყო მიღების კრიტერიუმები, რაც შესრულდა კიდევ. აკრედიტაციის აღნიშნული ანგარიში საჭიროებს დამატებით დამუშავებას, იხ. ნაწილი 2.1.</p> <p>პროგრამის ირიბი შეფასებები პერიოდულად ტარდება, როგორც დაინტერესებულ მხარეთა პერსპექტივების უკუკავშირის წყარო. შეფასებები შეიცავს ინფორმაციას კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ, კურსდამთავრებულების უკუკავშირს, დამსაქმებელთა გამოკითხვებს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის უკუკავშირს, და სხვა, მსგავს პროგრამებთან, შედარებას.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები:</p> <ul style="list-style-type: none"> • 2014 წლის აკრედიტაციის ანგარიში მათემატიკის, ფიზიკისა და კომპიუტერული

<p>მეცნიერების სადოქტორო პროგრამისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან • თვითშეფასების ანგარიში
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>აღნიშნული ანგარიშის 5.1 ნაწილში აღწერილი პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმები და 5.2 ნაწილში აღნიშნული ირიბი შეფასებები, შექმნილია და მიზანშეწონილი იქნება მათი გამოყენება მომავალში პროგრამის შემუშავებაში, მისი ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით.</p> <p>5.1 ნაწილში აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები იღებენ უკუკავშირს პროგრამის სტუდენტებისა და პროგრამის აკადემიური პერსონალისგან, ხოლო 5.2 ნაწილში მოცემული ირიბი შეფასებები უკუკავშირს იღებენ კურსდამთავრებულთა, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალისგან. ამ გზით, ყველა დაინტერესებული</p>

მხარე არის ჩართული პროცესში

დოქტორანტების მიერ მომზადებული სამეცნიერო პუბლიკაციები გამოყენებული იქნება პროგრამის ხარისხის საორიენტაციო მაჩვენებლებად (benchmark), ეროვნულ და საერთაშორისო სადოქტორო პროგრამებთან მიმართებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

საუკეთესო პრაქტიკები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ანგარიშის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა

სახელი, გვარი, ხელმოწერა